



ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

განყოფილების უფროსი: სოფიო ხაბაზი

ტელ: 599 85 12 21

ელ. ფოსტა: sofio.khabazi@gmail.com

ა ნ ო ნ ს ი

„ნარჩენების სწორი მართვით შევინარჩუნებთ ბუნებრივ გარემოს“

2017 წლის 6 აპრილიდან, ქედის მუნიციპალიტეტში ნაგვის მართვასთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანია ოფიციალურად გაიხსნება. კამპანიის მიზანია ნაგვის სწორად მართვასთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, უკანონო ნაგავსაყრელების აღმოფხვრა, დაბინძურებული კერების დასუფთავება, ბუნკერული სისტემის გამოყენება და ა.შ.

კვირეულის ფარგლებში, ქედის ყველა სოფელში გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინიციატივით გამოცემული 3 500 საინფორმაციო ფლაერი დარიგდება, მოეწყობა დისკუსიები საჯარო სკოლებში, ჩატარდება ღია გაკვეთილები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, მოეწყობა მასშტაბური დასუფთავების აქციები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან, ტურისტულ ობიექტებთან, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საჯარო მოხელეები, „ეკო კლუბის“ წევრები, ახალგაზრდობის ცენტრის ბენეფიციარები და ადგილობრივი მოსახლეობა.

6 აპრილი - 10 საათიდან, კომუნალურსერვისის თანამშრომლები, ზედამხედველობის სამსახური და ახალგაზრდობის ცენტრის ბავშვები, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე პარკში დასუფთავების აქციას გახსნილად გამოაცხადებენ, მოიხატება ნაგვის ურნები, დასუფთავდება პარკი, ახალგაზრდები ტრანსფორანტებითა და სახალისო ნომრებით დაბაში ფლაერებს დაარიგებენ.

დასუფთავების აქცია მოეწყობა ზღვის დონიდან ერთ-ერთ ყველაზე მაღალ სოფელში - ხარაულაში - „ეკო კლუბის“ წევრები ცნობიერების ამაღლების კუთხით სხვადასხვა აქტივობებს გამართავენ, განთავსდება ნაგვის ურნები. აქციას არასამთავრობო ორგანიზაცია „შავი ზღვის ეკო აკადემია“ შეუერთდება.

კამპანია ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივითა და „შავი ზღვის ეკო აკადემიის“ პარტნიორობით განხორციელდება.

ანოტაცია

ბოლო 3 წლის განმავლობაში, ადგილობრივი ხელისუფლების ძირითადი პრიორიტეტი ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა და სოფლად ტურიზმის განვითარებაა. გამგეობამ სოფლებში განსათავსებლად წინსწრებად 90 ცალი კონტეინერი გასულ წელს შეიძინა. დღემდე ქედის მუნიციპალიტეტში მხოლოდ 120 კონტეინერი იყო განთავსებული ბათუმი-ახალციხის მაგისტრალის მიმდებარე სოფლებში, დაბა ქედის ქუჩებში, აწვესა და სოფელ მერისში, საიდანაც საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას ხელშეკრულების საფუძველზე ბათუმის სანდასუფთავება ახორციელებდა. დარჩენილ სოფლებში პრობლემა კი წლების განმავლობაში გადაუჭრელი რჩებოდა.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მ/ წლის იანვრის თვეში, სპეცავტომობილი და დამატებით 49 კონტეინერი გამგეობამ 271 722 ლარად, სესხის სახით შეიძინა. გარდა ამისა, თვითმმართველობაში 41 ნარჩენების კონტეინერს დაემატებოდა კიდევ ელოდებიან, რაც ჯამში 300-ს აღემატება და სრულად მოიცავს მუნიციპალიტეტს.

ქედაში უპრეცედენტოდ, ყველა სოფელში განთავსდა ნაგვის ურნები და საყოფაცხოვრებო ნარჩენები ისტორიის მანძილზე პირველად გაიზიდება!

ავტომობილი ქედის კომუნალურსერვისს გადაეცა მფლობელობაში იქნება, რაც დამატებით 5 ახალი სამუშაოს შექმნის საფუძველი გახდება.

აღსანიშნავია, რომ „ეკო-კლუბის“ წევრებთან ერთად თვითმმართველობის მოხელეები ყოველ წელს პერმანენტულად დასუფთავების აქციებში და კამპანიებში მონაწილეობდნენ, რის საშუალებითაც არაერთი ხელოვნური ნაგავსაყრელები და ხევები დასუფთავდა.

კამპანია ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს და 13 აპრილამდე გაგრძელდება. მანამდე კი, 11 აპრილს, გამგეობაში შექმნილი ჯგუფის მიერ, რომელშიც გაწევრიანებული არიან როგორც თვითმმართველობის მოხელეები და მუნიციპალური ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე დაინტერესებული მხარეები და არასამთავრობო ორგანიზაციები, შემომავებული - მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიული გეგმის საჯარო განხილვა მოეწყობა.